

ჯონ კიტსი
ძილი და პოეზია

თარგმნა ირაკლი ყოლბაიამ

*ოდეს ლოგინად ვინეჭ, ძილუკარები
რად გამინყრა ასე ძილი არა ვუნყოდი
რადგან გახლდით გულმოსვენებული
არც სნეულება მჭირდა, არც ვავადობდი.*

ჩოსერი

რაა ზათხულის ქარზე უფრო ნაზი?
რას ადრი სიმშვიდეს კობტა ბაზის,
ნამით რომ ურჩება ღია ყვავილს
და მიბზუს შემდგომ ამო ადგილს?
რაა მუშკ-ვარდ-მონაბერზე მშვიდი
კონცხზე, კაციშვილი სად არ მიდის?
ფოთლით მოსილ მინდვრებზე ძალუმი?
ბულბულების ბუდეებზე ჩუმი?
მეტად წყნარი, დინჯი ვიდრე კორდელიას იერ-სახე?
აღმატებით სამიჯნურო რომანებზე ხილვასავსე?
რა, თუ არ შენ, ძილო? ჩვენს თვალთა ნაზად დამხუჭველო!
ნატიფ ძილისპირულთა ჩურჩულმთქმელო!
ჩვენს ბალიშებს ნათლად გადათარებულო!
ყაყაჩოს კვირტების ჩამწნეხელო, ტირიფთ ამატირებელო!
მშვენების დალალთ მდუმარ ჩამხვეველო!
სიხარულით შემსმენელო! როცა დილა
დაგლოცს თვალთ სიხარულით გამოღვიძებას
რომელთა ჩინმაც მზის ამოსვლა იხილა.

ან შენსუმაღლეს რაა ფიქრის გარეშე?

კენკრაზე ცინცხალს რას გასინჯავ მთების არეში?
გედის, მტრედის, მოლანდებული არწივის ნავარდის
შესადარ უცხოს, მშვენს, გლუვს, მეფურს რას ნახავდი?
რა არის იგი? ან რას შევადრი?

დიდება მოსავს ზიარუკადრი:

ატკობს, ათრთობს, განაწმინდებს მასზე ერთი გაფიქრება

მინიერი გახელების ყველა კვალი მისით ქრება;

ხანდახან შიშისმომგვრელი ჭექა-ქუხილივით მოვა

ანდა სიღრმის ჩუმი გრგვინვით მიწის ქვეშიდან ამოვა

ხან კი მოგვიტანს ნაზი ჩურჩულით

ყველა უთქმელ საიდუმლოს, გულით

რომ დააქვს ყველგანმყოფ მშვინვიერ ჰაერს;

ასე მოვთვლით მლოცველ მზერით არემარეს,

იქნებ შუქის, აირნასახ, ტანდატან ნახვად,

ჭერად ყურმოკრულ საგალობელთა ჩუმი ნავარდის;

ხილვად მაღლით კიდული დაფნის თავსარმის,

გვირგვინით რომ გვირთავს სახელს სიკვდილმოსულს,

ხანდისხან ხმას მოგვანიჭებს, დიდებამოსილს

და გულიდან ღრმა ხარებას აღმოაცენებს,

ისეთ ხარებას, ყოვლის მომრთავს რომ სწვდება

უღერით, მერე სახმილ ჩურჩულებად წყდება.

თუ ერთხელ მაინც ადამიანს მზე დაუნახავს ზეპური,

და ღრუბელთ ჯარი, თვის წიაღში მოუღია ტახტი მეფური

შემოქმედის სამყოფელად, მას უდაოდ ეცოდინება

რას ვგულისხმობ, და უგზნია თვის არსების ალაცოცება:

მაშ არც მე მის სულს დავაკნინებ, რად მოვყვე რჩევას

იმის განამარტვით რასაც თავად თანშობით ხედავს.

ო პოეზია! შენთვის კალამი მომიმარტვია

თუმც ჯერ არცა ვარ, ბინადარი არც მექვია
შენი ვრცელი ცათა სასუფევლისა – მოცდა მიჯობს
ალბათ მუხლმოყრილს მთის კენწეროზე ვიდრე არ ვიგრძნობ
გარშემოკიდულ მოკაშკაშე დიდებულებას
და ჩემი ხმა შენი ენით არ ამეტყველდება.
ო პოეზია! შენი სახელით ავიღე კალამი ხელში
თუმც ჯერ ისე შორს ვარ შენგან, შენს უკიდევან სამოთხეში
არ მიღვეს ბინა; მაინც, ისმინე ლოცვა ჩემი გულანთებული,
და მოიღე შენი საკურთხევლიდან ჰაერი სუფთა, ამაღლებული,
მოყვავილე ნაპირების მონაბერი სუნთქვით
მათრობელად დარბილებული, და მოვკვდე სიკვდით
განცხრომის, და ჩემი ნორჩი სული აედევნოს
დილის პირველ მზის სხივს, აპოლონთან დაივანოს,
ვით ცინცხალმა მსხვერპლშესაწირმა: ან კი, თუ ძალმიც მოვისხა
ნაყოფი ყოვლისმომცველ სიტკბოებათა, მან მომგვაროს მისხალ-
მისხალ ყოელ ადგილის მშვენი ხილვება: კუნჭული რამ მოჩრდილული
მანათობელ ელივსინად გარდმექცეს, თითქო წიგნი მარადიული
საიდანაც ამოვკრეფდი ლამაზ გამონათქვამს მრავალს
ფოთლებსა და ყვავილებზე, ტყის ბინადარ უხილავ ალთ
ცეკვა-თამაშებზე, და შადრევნებზე; ან ჩრდილს როგორ დაუღვეს
მღუმარების ფიცი, გარს უვლის მძინარ ქალწულს, ძილს არ დაურღვევს;
და ლექსებს, მოსულებს ისე უცნობი შთავონებით
კაცის გონი ვერ ამოხსნიდა, რისთვის, ან რა გზით
მოსულან. ეგრეცა უცხო რამ წარმოსახულნი მოეფინება
ჩემი სახლის კერაკს, მათში უმაღ ალმოჩინებად
საზეო მშვენების სანახთ, რომელთა ხილვაც მსხემობას
ბედნიერად დამიდუმებდა, ვითარცა მეანდრს, ხეობას
ეულს რომ გაედიწება; მათშივე ვპოვებდი სიღრმეს

მეტადრე მზარავი ლანდის, ან მოჭადლოებულ მღვიმეს,
ანდა მწვანე ბორცვებს შემოსილებს ყვავილებს
ჭრელი კაბით, და დამფრთხალი მისი მშვენიერების თანხლებით,
ჩავინერდი რის ჩანერისაც უფლება გვერთვის,
რაც ხორციელი გრძნობით მისანვდომია ჩვენთვის.

მერე ამ უკიდევანო სამყაროს ხდომებს მოვიხელოებდი
მძლეთამძლე გოლიათივით, სულს მოსვენებას არ მივცემდი
ვიდრე თვის მხრებზე სიამაყით არ იხილავდა
ფრთებს, მის შემძლეთ, გაარღვიონ უკვდავების ფარდა.

შეყოვნდი და განიცადე! სიცოცხლე წამია;
ხის კენწეროს მონყვეტილი ნაცვენი წამია;
ინდიელი, მისი ნავია, ანდა ძილია ამ ინდიელის
ნავი რომ გაექცა მონმორენსის დამლუპველი
წყალვარდნილის კენ. რად მწუხარედ მოსთქვამ ასე?

სიცოცხლე იმედია ვარდის, ჯერ-არ-პირსავსე;
წაკითხვაა ამბის მარად ცვლადის;
შუქია, რომელიც ქალწულს პირბადეს ახდის;
მტრედია ზატხულის მჭვირ ჰაერს დავარდნილი;
მოცინარი მონათვია, უდარდელი, გულახსნილი,
თელის მოქნილ ტოტებს ეჭიდება.

ჰე, წელიწადი ათი მაინც დამჭირდება
სრულად მივცე თავი პოეზიას; აღვასრულო
რაც შენსავ თავს აღუთქვი, სულო.

მაშინ მოვივლი ქვეყნებს, ყველას უკლებლივ,
შორს თვალმოკრულებს, და უწყვეტლივ
მოვსვამ მათი კამკამ შადრევნებიდან. ჯერ მოვიხილავ
მხარეს ფლორასას, და მოხუცი პანის: ბალახებში მიპოვის დილა,
წითელი ვაშლი დამაპურებს, მარწყვი ზედ ბაგეზე დამადნება

და დავაგემოვნებ რაც კი ზმანება მომელანდება.
თეთრხელეხა ნიმფებს ჩავევლები მოჩრდილებულებს,
ბაგეტკბილ ამბორს გამოვტყუებ პირმიქცეულებს,
თითებს მათსას გამოვეთამაშები, მათ სპეტ მხრებს
ამოკვნესად დავაკონებდი კბენას, ისერიგ მხნეს
რა მხნეობაც ბაგეს ეუნარება: ვიდრე არ დავითანხმებდი
ადამიანის სიცოცხლის მოსათხრობად შეგვეწყო ხმები.
და ერთმა მათგანმა თვინიერ მტრედს შეასწავლოს
ჩემს მოსვენებას გრილი სიო როგორ დაუნიავოს;
სხვა, ფეხმარდი, თვისა სვლას აყოლილი,
შემოივლებს მწვანე კაბას, თეხანყობილი
ნარნარ ცეკვას ნაბიჯს გაუიგივებს
და ყველა ყვავილს, ყველა ხეს გაუღიმებს;
კიდევ სხვა გამიტყუებს, და გამიძღვება
ნუშის ყვავილის და დარიჩინის მათრობელა
სურნელებაში; ვიდრე ფოთლეულ სამყაროს წიაღ
არ დავეგანებით, ორი მღუმარე თვალივით ღია
და მარგალიტის გადაგვფარავს თეთრი ნიჟარა ამო.

და ძალმიც კი ამ ტკობათა რიგს გამოვესალმო?
ღიახ, უნდა გავცდე, მოვიტოვო, მეტად ქველი,
ცხოვრებისაკენ, სადაც არის სასონარკვეთა, და სატანჯველი,
სად გული არის: რამეთუ ვა! რომ შორს ვჭვრეტ...
ღიახ, განვჭვრეტ ამ ლურჯ კლდოვანებაზე მეტს,
როს ეტლს ჩაბმული გადაკვეთს ზღვაოსანი რემა არე-მარეს,
და მეეტლე, შიშის ზარზემით, თვალს მოავლებს ქარებს:
და აჰა, მსუბუქად თრთის მათი უთვალავი გადათელვით
ვეება ღრუბლის ქიმი; და ჰა, ალთა ნაქარგი ბორბლის თვლით
დაეშვებიან, მიაშურონ ცის რიგებს ახალდანყებულებს,

მზის კაშკაშა თვალით მოვერცხლ-მოვარაყებულებს.
მეტად და მეტად დაბლა ესხმიან მორეული ძალღონებით;
და ჰა, ან ვლანდავ მათ მთაზე მწვანე ფერდობებით
სიონიავ მოსვენებულებს თავდახრილ ღეროებს შორის.
მეეტლე, რაღაც სასწაული ნიშნით, გარე გამოდის
მიმართვად ხეთა და მთათა მიმართ; და უმაღვე გამოჩნდება
სხმულება ტკობის, იდუმალების, შიშის სხმულება,
და დაუვლიან ტანადი მუხებით მინამწუხრ
ადგილს, რამ უხელთებელ ჰანგს ადევნებულნი მუხლ-
მარდად, მონყვეტით გაფრინდებიან. დახე ერთი
მაგათ ჩურჩულს, სიცილ-კისკისს, მაგათ მოთქმა-ქვითინს:
ზოგისა ხელაღმართული, პირმკაცრი იერით;
ზოგისაც ყურთან მიტანილი ჩუმშვინვიერი
ბგერით; ზოგიც, ნორჩი, ახლად გამოკვირტული
ების წყვდიადს მოცინარი, გულმხიარული;
ზოგი უკანმიხედვილი, ზოგიც მზერააპყრობილი;
ღიახ, ურიცხვნი, და ურიცხვგვარ სხმული...
ხან ქალწულთა მოცეკვავე წნული
ნატიფი თმებით ჩახვეული სქელი კულული;
ხან კი ფრთა და ფრთა ვრცელი. მოწადინებისგან
სულმოკრული, წინ გადახრილა მჭენებელი ამ ცხენებისა
ყურს უგდებდეს თითქოს: ნეტავ მაცნო
რასაც ის წერს დანთქმულებით საჩინო.
წამიც და დასხლტა ხილვები უკლებლივ, დასხლტა
ეტლიც ცათა სასუფეველში, და ამათ ნაცვლად
ნამდვილ რამეების განცდა ორმაგდება
და, ვით ღვარცოფი, წარიღებდა
ჩემს სულს, გააცამტვერებდა: მაგრამ გადავლახ

ყველა დაეჭვებას, ცოცხლად შევინახ
მოგონებას იმა ეტლზე, და უცნაურ
მისგან გავლილ გზაზე.

ნუთუ ისე დაიშრითა ახლა
ადამიანის ძალა, წარმოსახვა მაღლა-
მაღლა ვერ ნავარდობს, თავისუფალ,
უწინდებურ, ფრთას ვერ ისხამს?
ვერ შესწვდება ნათელს, ვითარცა ხამს,
სამოთხეში ღრუბლებს უცხოდ ეთანადოს?
განა ყველას არ გაანდო?
ვითარცა ეთერის წმინდა სივრცე, ეგრეცა
ახალ კვირტთა ციციქნა ამოსუნთვა? ვით ელვის აზრად
გადაფენა უფლის შუბლზე, ეგრევე აპრილის ნაზად
ნამწვანები მდელოები? ამ კუნძულზეც, აქაც
მისი საკურთხევლის შუქი ენთო; ან მის წარმტაც
გუნდს ვინ იტყვის, კეთილხმად რომ მოეფინა
აქაობას, ან, მარადის, და დაგვიდგინა
თვისა თავის გრეხილ ბგერად გამოჩენა
და წრებრუნვა ცთომილებრ ზენა
და უწყვეტი, გარეშემო თავბრუსმხვევი ღამის?
იმხანად მუზებს მოყირჭებოდათ ღამის
უწყვეტი ხოტბა; არც რა სადარდელი
ჰქონდათ, ემღერათ, თმაში დაესვათ ნაზი სავარცხელი.
რით მიეცა ეს ყოველი დავინწყებას? ეს განხეთქილება
სიმტერემ და უტიფრობამ ისე უშურველად კვება,
სხივოსან აპოლონს შერცხვა, რომ ამ მხარეს მისი ერქვა.
მით ბრძენად მიიჩნეოდა, რაც მეტად არ ესმოდა
მაგანს მისი სიდიადე: ჭიჭყინა ბავშვის ძალისხმევით

ერთობოდნენ საქანელა ცხენების თავბრუსხმევით
თითქოს ჰგეგასზე ისხდნენ. აჰ, ბერწსულნაბერნო!
დაქროლა სამოთხრის სუნთქვამ, ოკეანეს დაუბერა,
ტალღა-ტალღა მიდამოაგორა – თქვენ კი ვერ იგზნეთ ვერა.
ლაჟვარდმა მარადი წიაღი მოიღერა, და ზაფხულის
ღამეობის ცვარი მძივებად მოებნა ქვეყნიერებას
დილის მოსალამაზებლად: ეღვიძა მშვენიერებას!
თქვენ რაისად არ გელვიძათ? მაგრამ იყავით ვითარცა მკვდარი
მიმართ იმისა, რისაც არა უწყოდით – ისე მჭიდროდ წილნაყარი
დაობებულ კანონებთან, ნახაზებთან საძაგელი სახაზავით
და კომპასით ავით: ასე დააფუძნეთ რამ სასწავლი
ბენტერების: როგორ უნდა აპირკეთო, ჭრა, მოარგო
ვიდრე ლექსმა იაკობის ხელკეტივით არ ივარგოს.
ხოლო მაგას, შეგეკითხებით, წინ რაღა ედგა:
ურიცხ ხელგარჯილს პოეზიის ნილაბი მოსავს.
ბედშავო შენა, უბირო მოღვმა!
უფარველად გმობდით პირმნათ მგოსანს
და არც უწყოდით, – არამედ ირჯებოდით,
ქვეყანას მოსდეთ თქვენი ჯაგლაგი კანონები
დალდასმულნი სიფრიფანა მოწოდებით
და ვინმე ბუალოს სახელწოდებით!
თქვენ დაგეკისრათ ჩვენი მთების გარშემო ბზუილი
და მაგ თქვენი დიდებული თავყრილობის ტყუილი
ისერიგ მავსებს კრძალვა-მოწინებით, ველარც კი ვარჩევ
სათაყვანებ თქვენს სახელებს, მდგარი ამ არგამოსაჩენ
ადგილას, ახლო უბრალო ხალხთან; გულზე არ მოგხვდათ
მათი სამარცხვინოება? ჩვენი ტემზის ნელი მოთქმა
არ გახალისებთ? ერთხელ მაინც თუ შემოემტევენეთ

ლამაზ ეივონს, ერთხელ მაინც თუ ცრემლი იდინეთ
მისდამი კდემით? ან იქნებ სრულად აიღეთ ხელი
იმ ადგილებზე, რომელთ დატენით არ შემკულა სახელი?
ან იქნებ დარჩით, რათა მდაბალი გეთქვათ სალამი
იმ ეულ სულთა, გულმაგრად რომ აამღერეს კალამი
თვის სიჭაბუკის სწრაფ განლევად, და სიცოცხლევ თან გაატანეს...
ეგრევ იყო: მაგრამ მეყო მოგონება ამ დროზე ძნელგასატანზე:
უჩინოესი ან დაგვიდგა უამი: ანლა ხომ უხვად მიმოგვაბნიეთ
თქვენი მდიდარი ლოცვა-კურთხევა; ახლად ჩაახვიეთ
მგოსანთ ხოტბის ყვავილწული: რადგან მრავალგან ისმა
ამო მუსიკა; – გარკვეული მონაგარი ამოისხა
მისი ბროლის საუფლოდან, ტბის ძირას,
გედის აბანობის ნისკარტით; ხშირი ბუჩქნარის პირას,
დამჭდარი და ჩუმი, მინდორ-ველის თანაზომიერი,
ბუებუყებს სტვირი; ნატიფი ბგერები ხელად შემოერევა
ქვეყნის ოთხ კიდეს: კურთხევა თქვენ, და ბედნიერება.

ესენი ეჭვგარეშეა: თუმც, ჭეშმარიტად, მღერის ხმიერი
ძლიერებისგან გვცნობია უცხო ჭეჭა-ქუხილები;
მართლაც კეთილნაზავები მას, რაც, მძლავრდანატკბილები,
გვაქვს დიდებულებით: მაგრამ თუ სრული სიმართლე ითქვას
ეს თემები უშნო ხელკეტებია, მგოსნის პოლითემები, ვით ქვას
უშენს და ამღვრევს ზღვას დიადს. უშრეტი თქეში
სინათლისა არს პოეზია: იგია ძალი უზენაესი;
ლონე მარჯვენა მხარეს მიყრდნობით ნახევარმთვლემარე.
თვით მის თვალთა მაღალი თალოვანება უთვალავ მგზნებარე
გულს უმაღ, გრძნეული მზერით, დაიმორჩილებს,
და მაინც, ზენა სინაზით მართავს თვის დაძმობილებს;
მაგრამ მარტოკა ძალი, გინდ მუზებით ნაბოძები

დარია დაცემული ანგელოზისა: ამოგლეჯილი ხეთა ბოძები,
წყვდიადი, მატლები თანაც, თან სუდარა, თანაც სამარე:
ესენია რითაც თავს იტკობს; და სიცოცხლის ბლაუჭებით, მწარე
ეკლებით იკვებება; და ავინწყდება პოეზიის ის ამოცანა,
უზენაესი, რომ სულიერს უნდა ემოყვროს, ემგზავროს თანა
სადარდელი დაუამოს, და აღუმაღლოს საფიქრალი. –
და მაინც, მე ვხარობ: მურტი იმაზე კობტა, ცინცხალი
ვიდრე უნახავს პათოსის ზეცას, თავს წამოსწევს
გულმწარე სარეველებიდან, და გამოკვებს
მღუმარ სივრცეს მარადმწვანე ღივით.
ჩიტუნებს მაშინ დასცქერის ცა ნაზი ღიმით
ჩრდილში გასტყორცნის მკვირცხლი ფრთხილით,
ციცქნონ ციცქნა ყვავილის თასები, იმღერონ მფრთხალი ხმით...
მაშ გამოვწვლილოთ მხრჩობი ეკლები
მისი სათუთი ღეროს გარეშე; შვლები,
შვლების ნუკრები, ნაშობნი მას მერე რაც ჩვენ წარვედინებით,
იქ მიაგნებდნენ ცინცხალ კორდს, ყვავილებით, პირმცინებით,
გულუბრალოებით, გადაპენტილს: დაე არრა აღემატოს
დაუდგრომლობით, იმ მუხლმოყრილს, თავის სატრფოს
რომ უჩოქებს, არც რა უჟმურებით აღემატოს იმ წყნარ
მზერას, დახურულს წიგნს რომ მიაპყრა;
არც იყოს მეტი აყალმაყალი, იმის, ბალახუხვი კალთა
რომ ატეხს ორ მთას შუა. ქება იმედთ, მამებელთ, ქება მართლა!
ვითარცა ჯერ არის, წავა წარმოსახვა, წავა
წაგვივა, მიეცეს უმშვენეს თავგზაგაუვალს,
და წოდება პოეტი მეფისა მას ეღირსება
გულს ანუგეშებს ვისიცა მჭვრი გაბაასება.
ო ნეტავ ვიდრე მოკვდევ ენით ამ სიხარულთ მწიფობა. . .

განა არ იტყვიან, კადნიერებაა და უტიფრობა
რასაცა ვამბობ? თვისა შერცხვენა მოისწრაფაო:
დამალვა მიჯობს, სჯობს ეს ბრიყვის პირსახე დავფარო?
იტყვიოთ, ეგების ბიჭურმა ქვითინმა თავი მდაბლად დახაროს
ვინძლო თავს არ დაიტეხოს ელვა პირმქუხარე. გაგახაროს!
თუ დავიმალო, შუაგულ ტაძარში დავიმალები,
სადაც ანთია პოეზიის ცეცხლის ალები:
თუ დავეცე უნდა, ვერხვის მოჩრდილულ
მღუმარებაში მნახავთ დაძირულს;
და დამფარავს ბალახების გლუვი პირები;
ესენი იყოს ჩემი სულგრძელი ეპიტაფიები.
მაგრამ განვედ მნუხარებავ! დამლუპველო კაეშანო!
ამათ ვერა გცნონ შენ, ვინც, მწყურვალე სათნო
აღსასრულის მოპოვებად, არა სწყვეტ წყურვებას.
მერე რა თუ ამ თვალუნვდენი, ვეება
სიბრძნის არ ვარ მემკვიდრე; არ ვუნცი არა
წანაცვლებათა, ძლევამოსილ მქროლ ქართა
მძლავრი ხელი როგორ მიდამოაქცევს მარადცვლად
ფიქრებს ადამიანის: თუმც საზრისი ვერ დამარცვლავს
კაცის სულში დავანებულ წყვდიად იღუმალეებს,
ვერ გააცხადებს: მაინც, წინ მიდგას, თავს არ მანებებს
დიდი, ღრმა აზრი, და მისგან გამოვწვილავ
ჩემს თავისუფლებას; მისგნითვე მხვდა წილად
ხილვა პოეზიის განზრახვის და ამოცანისა. ეს
ისე ცხადია, როგორც წყალი კამკამა; დღეს
ღამე მოსდევს, ერთმანეთს ცვლის დრონი წელიწადის;
გამომუღავენდა ვითარცა ჯვარი მაღალი, ან ტაძრის
თხემი, ღრუბლებს ატანებული. მაშ ვიქმნა დარი

უმდაბლესი გადაგვარების, უარესი, ვიდრე მკვდარი:
მხდალი, ლაჩარი, თუკი სამარცხვინო მექმნება
იმის ამოთქმა, რისაც გავბედე გაფიქრება.

აჰ! არა... ამას გაშლევებით რამე უფსკრულს
ჩავარდნა და დანთქმა მიჯობს; ვარვარა მზემ სრულ
ჩამომილღოს ფრთანი დედალოსის, დამცეს
თავდაღმა, კრუნჩხვაკრული! ყოვნდი! გასცემს
ბრძანებას სინდისი, დაიმშვიდე ოდნავ გული.
ოკეანე დაბინდული, ზედ კუნძულმიმოფანტული,
თვალწინ მეშლება და მზარავს. რაოდენი ოფლისწვეთა!
დღენი რამდენნი! რა მღელვარე სასონარკვეთა!
ვიდრე იმის ფარული ადგილები მოვიხილო...
ვა მე, რა ძნელი ამოცანაა! შე ბეჩავო, მუხლმოყრილო,
განთქვი რაც გითქვამს – არა, ამაოდ მჯილს ვიცემ:
შეუძლებელია! არ შეიძლება! –

ნუგეშისმცემლად თავს მივცემ

მეტად მოკრძალებულ ფიქრებს, და ამ ცდას ჩემსას, უცნაურს,
სათნოდ წამოწყებულს, განვუმზადებ მსგავს დასასრულს.
ვგრძნობ უმაღლეს, მღელვარებისგან მეცლება წიაღი:
გულს ღიას იქით მივმართავ, სადაც ძმურობა გულმაღლი
მოასწორებს ძნელს გზას ღირსების; მეგობრობა და
გულკეთილობა ურთიერთსიქველის არის საბადო.
გულსავსე ჰერობა ტვინს უძღვნის საამო სონეტს
და განაკვირვებს თვისა თავში მსგავსის არმგონეს;
მღუმარებიდან მოდის ნაღდი რითმები, მით იბადება
და როცა მოდის, გულგამახარი თან მოაქვს წვეულება:
აი ცნება, ღირსი ხვალისდელი შრომის.
მერე რა, თუ რამე იშვიათი ტომის

ჯერ არს გამოძვრენა, გარს შემოვუსხდეთ,
ოღეს კვლავ, ეგების, ერთმანეთს შევხვდეთ.
ძლივს ვავრძელებ ჯღაბნას; რა ტურფა ჰაერი
შემოეხვა გარს ჩემს ოთახს, ამო, მტრედნაირი,
და მრავალ ტკობას იმ დღისას მომაგონებს ამით
პირველად როდესაც ვიგზნე ნაზი დაცემა მათი.
და ამ ამო ჰაერთ დაჰყვა რამდენი სახე-მშვენება,
დაემგზავრა, ვითარცა ქარი მერნის ჭენებას,
უდარდელად რომ დასწვდება რბილი, მრგვალი
თითებით მის გაშლილ ქოჩორს; დასწვდეს
სადავეს ეტლის, ვით ბაკქი, როცა თვალი
ჰკრა არიადნეს და ძონი – მის ღანვებს.
ეგრეცა მახსოვს სიტყვათ ტკბილი მოღვრა
როს გადიშალა საქალაქდღე, როს ლუქი მოსძვრა.

ასეთები მარად მშვიდ სურათთა წყებას
მოასწავებს: ჭილნარს შემალული რხევა
გედის კისრის; მეკანათია
ბუჩქებს მოსწყდა, ცაში აფრინდა.
ჰეჰელა, ოქროს ფრთებს რომ გაშლის,
ტკობით გათანგული დაივანებს ვარდში;
და სხვაც რამდენი, უხვად, მრავალი...
ნეტავ ყველა ვთქვა, ეს უთვალავი
სახე სანეტარო: ოლონდ ძილმა, ყაყაჩოს
გვირგვინოსანმა, მღუმარემ, არ დაახანოს.
რამეთუ თუ რამ ღირსი არის ამ რითმებში,
ნაწილობრივ მისია წყალობით: და ასე, ხმები
წყდება, ტკბილი, მეგობრული, და ეგრეთვე ტკბილი
ისადგურებს მღუმარება, როს კვლავ თვალს მოვაგვლებ

დღეს ამას მშვენიერს, ჩემს ნებაზე წამოწოლილი.

პოეტისა გახლდათ ეგ სახლი, იმის, ვისაც აბარია

გასაღები ტკბობის ტაძრის. ტაძრის სივრცე მოურთავს

დიდებულ ნაკვთებს იმ ბარდებისა, ვის ხმასაც მართაღს

სხვა უამთა შინა დაუმღერია – ცივი და წმიდა ქანდაკებები

ერთურთს უღიმოდნენ. ნეტარ არიან ის ქმნილებები

თავანკარა მომავალს ვინც ანდო თვისა დიდება!

იქ კიდევ იყვნენ ფავნნი, სატირნი, ჯიბრით, რომელი მისწვდება

დაბერილ ვაშლებს მკვირცხლი ნახტომით

და მოსწყვეტს, და კვლავ ჯიუტი დგომით

ერწყმოდნენ ფოთლებს ვაზისას. მერე სახედველს შეეღერა

მარმარილოთი ნაძერნი ტაძარი და უმაღლ მისკენ დაეშურა

კორღზე ნარნარ მოფარფატე ნიმფათა წყება:

ერთმა, მათგან უმშვენესმა, აღმომხდარ მზეს შეაგება

განვდილი ხელი: ორი და ტკბილი,

ორი ტანი, მოხდენით მოხრილი

ერთმანეთს ხვდება, სადაც ბავშვს დაუცდება ფეხი:

ზოგსაც მოესმის, გულანთებით, თრთოლვის დამტეხი

დუღუნი ცვარნამიანი თხევადი სტვირის.

აი, სხვა, სურათში, თაყვანისცემით ტირის

ნიმფა დიანას გაუბედავ ფერხთით;

აუზის პირას მინის აბიბინებული ქერქი

მიცურავს, შხეფს ყრის, ნაზად ივანებს

დამცხრალ კრისტალთან: ვით ოკეანე

წამოსწევს დინჯად გადმოღვრილ სილბეს

და კლდოვან არშიას მოათენს, თან მასში ზრდილებს,

წყალმცენარეებს, კვლავ მოასწორებს, დააძინებს,

ქაფით არ ავნებს, დაარწევს, თავს შინ აგრძნობინებს.

აი საფოს თვინიერი თავიც პირის ნახევრით დაჰლიმის
არარას; თითქოს სულ ამ წამს წრფელმა ღელვამ იმის
შუბლს მოსვენება მისცა, თან ნება დართო
გულდამშვიდების, დატოვა მარტო.

დიდი ალტერედიც, აღელვებული, სიბრაღულის მზერით
თითქო მის ყურს არ გამორჩენოდეს არცა ერთი კვნესისმიერი
აღმოხდომა ამ ბედკრული ქვეყნიერების; და კოსციუშკოს
ულევმა ტანჯვამ დაასვა დაღი, სპობამ პირი უყო.

ხოლო პეტრარკამ, ბუნების ნეტარ უბეს რა გამოეყო,
თვალი ჰკრა ლაურას, გახევდა, ცქერას ვერ წყვეტს, აღარ ეყო
მისი მშვენება, ვით ჩვილს ძუძუ ღედის. სვებედნიერნო!
თქვენს თავებს ლალად გადმოეშალა, გრძივგანიერდა
ფრთანი მისნი, და იმათ შუა გამოანათა

სახემ პოეზიის: და როს მზერა მიმოატარა

სანახს, იხილა რის თქმისაც ღირსი არ მიჩანს თავი,

მხოლოდ ერთი გააზრება იმის, თუ სად ვიყავი,

კმარა, მეშოროს ძილი: თუმც, მეტადრე ამის,

მესხმის ფიქრები, სხვანი მათ კვალად, ისეთი, სახმილს

მიჩაღებს მკერდში; ისე, რომ როცა რიჟრაჟს იწყებს

დილაუთენია, უძილო ღამიდან გამომალვიძებს;

და წამოვდექი დღემხიარული, ლაღი, გულდასვენებული

დაბეჭითებით, ამასვე დღესვე მქონდეს წამოწყებული

ამ სტრიქონთ თხზვა; და რა გამოვა?

ვინ იცის... ვტოვებ მათ, ვით მამა ვაჟს.